



ელექტონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და რეგულირება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
2015 წელი

ფართოზოლოვანი ინტერნეტ მოსახურების გავრცელების ხელშემწყობი მიმართულებები

უსადენო ფართოზოლოვანი
მიწისზედა მომსახურების
განვითარება

ელექტონული საკომუნიკაციო
ინფრასტრუქტურის
განვითარება

უსადენო ფართოზოლოვანი
მიწისზედა სისტემებისათვის
განკუთვნილი ლიცენზიების
დაფარვის ვალდებულებები -
კონკრეტული სერვის-
დეფიციტური დასახლებული
პუნქტების დაფარვა

ელექტონული საკომუნიკაციო
ინფრასტრუქტურის
განვითარების ხელშემწყობი
ღონისძიებების გატარება

ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები

- ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი - ევროკომისიის დირექტივა - **DIRECTIVE 2014/61/EU**;
- შედგა რამდენიმე შეხვედრა, როგორც ელექტრონული კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მფლობელ ოპერატორებთან, ასევე ენერჯო კომპანიების და სემეკის წარმომადგენლებთან;
- ევროკომისიის TAIEX “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფრასტრუქტურის გაზიარების” პროექტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა ლიტვის მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებთან.

ინფრასტრუქტურის სფეროს სირთულეები დღეს:

განმარტებებისა და რეგულირების სირთულე:

- ელექტონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არ არის განმარტებული;
- არსებული ტერმინები არათავსებადი და არასრულყოფილია;
- ინფრასტრუქტურის რეგულირების რეჟიმი გაურკვეველია.

ნებართვების სირთულე:

- ელექტონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ასაშენებლად და საექსპლოატაციოდ საჭირო ნებართვების სიმრავლე;
- ასეთი ნებართვების აღებისათვის საჭირო პროცედურების მრავალფეროვნება და სიძვირე.

რეგისტრაციისა და დაცვის სირთულე:

- ელექტონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეგისტრაციის ფორმისა და პროცედურის გაურკვეველობა;
- ინფრასტრუქტურის დაუცველობა.

სირთულეები დღეს: განმარტებები

ინფრასტრუქტურა რეგულირდება:

- კანონით ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#57 2009 წლის 24 მარტი) მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 2007 წლის 4 ივლისი) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ;
- მუნიციპალიტეტების გადაწვეტილებები და აქტები.

განმარტებები:

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი;
- კავშირგაბმულობის ხაზი: ხაზობრივი ნაგებობის სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო კავშირს მიმწოდებელს ან/ და მომხმარებელს შორის;
- ინფრასტრუქტურა: საინჟინრო ტექნიკური და კომუნალური მომსახურების, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არ არის განმარტებული.

სირთულეები დღეს: ნებართვები

სახელმწიფო უწყებები:

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის ნებართვები გაიცემა თვითმმართველობების, ეკონომიკის სამინისტროს, სატყეო, საგზაო, რკინიგზის და სხვა უწყებების მიერ:

- ყველა უწყებას აქვს სხვადასხვა პროცედურა, რომელიც 1 - დან 12 თვემდე გრძელდება;
- სახელმწიფო უწყებებს დაწესებული აქვთ განსაკუთრებული ნიხრები (მაღალი ტარიფები) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის;
- სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული ნებართვები არ იცავს საკომუნიკაციო ოპერატორების გატარების უფლებას, რაც ხელს უშლის ბიზნესის პროგნოზირებას, ზრდის რისკებსა და ხარჯებს;

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსების ერთიანი ჩარჩოს გარეშე ოპერატორებს (განსაკუთრებით პატარა ოპერატორებს) უჭირთ ქსელის განვითარება.

სირთულეები დღეს: ნებართვები

ინფრასტრუქტურის მფლობელები:

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის ნებართვები გაიცემა ინფრასტრუქტურის მფლობელებთან, მაგ. წყალი, გაზი, ელ-მომარაგება, სხვა საკომუნიკაციო ოპერატორებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე:

- საერთო მონაცემთა ბაზის არ არსებობის პირობებში შეთანხმებებისათვის საჭირო დრო იწელება;
- არ არის გაწერილი უარის თქმის საფუძვლები, რაც ხშირად ინფრასტრუქტურის განვითარებას უქმნის პრობლემებს.

სირთულეები დღეს: რეგისტრაცია და დაცვა

ქონების რეგისტრაცია:

რეესტრი:

- არეგისტრირებს მხოლოდ კავშირგაბმულობის ხაზს, ა-ბ წერტილამდე, კლასიფიკაციის, გადამოწმების ან სხვა დადასტურების მექანიზმების გარეშე. ხშირია შეცდომები და შემდგომი დავები.

დაცვა:

საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 2007 წლის 4 ივლისი) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ რეგულირდება:

- დაცვის მექანიზმები მხოლოდ ხაზობრივი ნაგებობებისათვის;
- დაცვის მოცემული მექანიზმები მოძველებულია და არ მოიცავს უზრუნველყოფის მექანიზმებს.

პრობლემის გადაწყვეტა: განმარტებები

ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განმარტება
(ევროკომისიის დირექტივის მიხედვით - Directive 2002/21/EC as amended by Directive 2009/140/EC):

ელექტრონული საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთიანობა, რომელიც შედგება მოწყობილობების, დანადგარების, მათ შორის ანტენების, ხაზების, მილების, კაბელების, კანალიზაციის, კოლექტორების, ჭების, საყრდენი კედლის (ჯებირი, მზიდი კონტრუქციები), ანძების, შენობების, შენობის შემყვანების, შენობის საინჟინრო სისტემების, სადისტრიბუციო კარადებისა და სხვა საჭირო საშუალებებისაგან.

პრობლემის გადაწყვეტა: რეგულირების რეჟიმი

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეგულირების ევროპული მოდელი:

1. სიმეტრიული დაშვების ვალდებულება;
2. ხარჯზე ორიენტირებული ტარიფები;
3. რეგულირების Ex-post ანუ შემდგომი რეგულირების - დავების განხილვის რეჟიმი;
4. მარეგულირებლის მიერ ელ. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ექსპლოატაციის ნორმების დაწესება;
5. მშენებლობის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ირიბი მექანიზმები.

რეგულირება: მშენებლობის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ირიბი მექანიზმები



პრობლემის გადაწყვეტა: ნებართვები

სახელმწიფო უწყებები - ევროპული პერსპექტივა:

ერთი ფანჯრის პრინციპი:

- ერთიანი სისტემა რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვების გაცემას მაქს. 4 თვის ვადაში; ნებართვების გაცემაზე უარის შემთხვევაში მკაფიო დასაბუთებით.

დავების განხილვა:

- დავებს ინფრასტრუქტურის მფლობელებსა და ოპერატორებს შორის განიხილავს მარეგულირებელი კომისია.

დაგეგმილი სამუშაოების ერთი საინფორმაციო წერტილი:

- სახელმწიფო თუ კერძო უწყებების მიერ დაგეგმილი სამშენებლო - ინფრასტრუქტურული სამუშაოების ერთიანი საინფორმაციო სისტემით უზრუნველყოფა.

პრობლემის გადაწყვეტა: ნებართვები

კოორდინაციის სახელმწიფო და კერძო სისტემები:

- შვედეთი: ერთიანი სახელმწიფო გსს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ვადაში გაწერილ შეთანხმებებს;
- ამერიკა: კერძო კომპანიების - ინფრატრუქტურის მფლობელების მიერ შექმნილი ელექტონული საკოორდინაციო სისტემა ნებაყოფლობითი მონაწილეობითა და დაფინასებით.

პრობლემის გადაწყვეტა: რეგისტრაცია და დაცვა

დაცვა:

ამერიკის მაგალითი - **One call systems /Common Ground Alliance**

- ინფრასტრუქტურის მფლობელებმა მათ შორის, ენერგო, წყლის, დიდმა სამშენებლო კომპანიებმა შექმნეს ალიანსი - გაერთიანება;
 - დაგეგმილი სამუშაოების შეტყობინებისთვის ერთი სატელეფონო ნომერი (811) და ელექტრონული სისტემა;
 - 28 მილიონი შეტყობინება-სამუშოს კოორდინაცია თვეში;
 - დაზიანებების აღრიცხვის სისტემა;
 - დავების განხილვის მექანიზმი;



ინფრასტრუქტურის სფეროს სამუშაო მიმართულებები:

განმარტებები და რეგულირება:

- კანონით განიმარტოს ელ.საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და შესამაბიმისი მარეგულირებელი ნორმები;
- ელ. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განმარტების ჰარმონიზაცია სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

ნებათვები:

- დაიწყოს კონსულტაცია ინფრასტრუქტურის მფლობელებს, ოპერატორებსა და სამთავრობო უწყებებთან ერთიანი სისტემის (ერთი ფანჯრის პრინციპი) ჩამოყალიბების მიზნით;
- სისტემის დანერგვის მიზნით ჩამოყალიბდეს პროექტი, მკაფიო სამუშაო გეგმითა და ბიუჯეტით.

რეგისტრაცია და დაცვა:

- კომისიამ შეიმუშაოს ელ. საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, დაცვისა და ექსპლოატაციის ნორმები (მათ შორის შენობის შიგნით საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ნორმების დამატება სამშენებლო ნორმებზე);
- გაგრძელდეს კონსულტაცია ინფრასტრუქტურის მფლობელებს, ოპერატორებსა და სამთავრობო უწყებებთან ერთიანი გს სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.

გმადლობთ
ყურადღებისთვის!

